- ალბათ, გაუფეთ. რა ქნას საკრებუ-ლომ. ცენტრალური ბიუჯეტით ზუთ დღეში ამის დაფარვას ვერ შეძლებენ, რადგანაც ბიუჯეტში კატასტროფაა. თანხები ბიუჯეტში ყოველთვის ბოლო სამ დღეში შემოდის. 15 რიცხვამდე არა-ვითარი თანხა არ არის. 25 რიცხვამდე, დაახლოებით, 25 მილიონი და ბოლო სამ დღეში, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი შემოდის. ბოლო დღეებში ამუ-შავდება წინასწარი გადახდების მექა-ნიზმი, თანხების დატრიალება, რაც ჩვენი ადმინისტრირების გამუდმებული სისუსტის შედეგია. როგორც წესი, სა-გადასახადო სამსახურები ადგილობ-რივი ბიუჯეტის თანხებს ცენტრალურ ბიუჯეტში გადაისვრიან ხოლმე. წელს უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. საქათ-ველოში 68 რაიონიდან ვერც ერთმა გეგმა ვერ შეარქულა, თუ არ ჩავთვლით აჭარას (თუმცა, აჭარამაც ცენტრალუ-რი ბიუჯეტის კუთვნილი 40 მილიონი ლარი არ გადმოიციხა, ასე რომ, იქ მა-ლე კომუნიზმში შევლენ). საქმე ისაა, რომ ცენტრალური ბიუჯეტის გეგმის შესუსრულებლობისთვის საგადასახა-დოს ხელმძღვანელს მოხსნიან, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის შესუსრულებ-ლობისთვის არანაირი სასჯელი არ არ-სებობს.

ამ მიზეზების გამო, ფული არ იქნე-ბა. რა გამოსავალია? ან უნდა გაითიშოს გაზი და ქვეყანა გაიყინოს, ანდა 3 მილი-ონი ლარი უნდა გადაირიცხოს მერიამ. ეს სამი მილიონი კი სრულად მოხსნიდა ლიფტების, სახურავების, უფასო სასწ-რაფო დახმარების პრობლემას. იძულე-ბული ვართ, მივცით. ანუ, გამოდის, რომ მთავრობამ ისარგებლა ჩვენი კე-თილი ნებით და უმძიმესი დარტყმა მოგვაყენა. და ეს ყველაფერი მოსახლე-ობას დაატყდება თავს.

- რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის თაყიდან აცილების მექანიზმი?

- ცენტრალურ ბიუჯეტს უნდა გა-დაეხადა საბიუჯეტო ორგანიზაციების გაზის დავალიანება და თუ ამ წლის თანხები არ ეყოფოდა, მომავალი წლის ბიუჯეტიდან უნდა აეღო. შეიძლებოდა მეორე ვარიანტიც - მთავრობას უნდა მიეცა სესხი თბილისის ბიუჯეტისთვის და ამ თანხით “თბილგაზის” ვალი გაეს-ტუმრებინა. ამ სესხს შემდეგ აღარ და-ვუბრუნებდით, რადგან ცენტრალურ ბიუჯეტს ქალაქის ბიუჯეტის ისედაც დიდი ვალი აქვს.

- სად იშოვის მთავრობა ამის ფულს?

- ერთადერთი გზა ბანკებიდან ფუ-ლის ისესხება. დღეს საქართველოში არ არსებობს ისეთი ბანკი, რომელიც უმოკლეს ვადებში 3 მილიონ ლარს მოხ-სის ანგარიშებიდან და გაასესხებს. ამიტომ, მთავრობამ ნაწილ-ნაწილ უნ-და ისესხოს ფული.

- ეს, ალბათ, ბანკებისთვის მშვე-ნიერი გამოსავალია...

- ბანკები ამით პირდაპირ არიან და-ინტერესებული. ჩვენთან ბიზნესი იმი-ტომ არ ვითარდება, რომ ბანკები პარა-ზიტები არიან. ადამიანზე, ან სანარმო-ზე სესხის გაცემაში მათ შეიძლება თავ-სატყულო გაუჩიროს - ამ გაუსტუმრებენ ამ სესხს, ან ვერა. მერიის სახით მათ ას-პროტესტებინა ბაზარი აქვთ - თბილისის მერიას მომენტალურად ჩამოაჭრიან საქორი თანხას, ან ყადაღას დადებენ და ა.შ. თბილისის მერიაშ წელს 3 მილი-ონი უკვე ისესხა, ამას დაამატეთ მარ-შან ნასესხები 2 მილიონი და ბადრი პა-ტარკაციშვილისგან ნასესხები 2 მილი-ონი ლარი. ასე რომ, მომავალ წელს ბი-უჯეტში უკვე არის 7 მილიონი ვალი. გარდა ამისა, ბანკები ხელისუფლებაშ სწორედ იმიტომ აქცია პარაზიტებად, რომ წლიური 30-დან 80 პროცენტთან სესხს აძლევენ ცენტრალურ ბიუჯეტს. წელს მთავრობამ მხოლოდ პროცენტის დასაფარად 3 მილიონი ლარი გასცა. ბანკები ჩვენთან სრულ განცხრობაში არიან.

- თუ ვთვლობსმებით, რომ ამ ბან-კებს ხელისუფლების ძალად ეშულო-ნებში პატრონი ჰყავთ...

- ბუნებრივია, ეს ასეა და ჩაკეტული წრე გამოდის. რაც უფრო ცუდად არის საქმე, მით უფრო უკეთესია მათთვის.

- ვთქვათ, საკრებულო არაფერი არ დათანხმდა “თბილგაზის” ვალის დაფარვას და ეს თანხები სოციალუ-რი ხარჯებისთვის შემოინახა...

- მაშინ მთავრობა აწონ-დანონის, რა სჯობს - გაითიშოს გაზი და ნახევ-რად გადაბარდოს საკრებულოს, თუ, უბრალოდ, არ გასცეს ხელფასები და პენსიები და ა.შ. მთავრობა ამ შემთხვე-ვაში გადაიხდიდა გაზის ფულს და საა-ხალწლოდ ვერ გასცემდა პენსიებსა და ხელფასებს, თან არა მხოლოდ თბილის-ში, არამედ მთელს საქართველოში.

ასე რომ, ჩვენი მთავრობა წიფელზე ზის. მთავრობის წარმომადგენლების მოსვლა საკრებულოში, ცოტა არ იყოს, კორუფციის სუნი ასდოდა. რო-გორც კი თბილისში გაიმარჯვა ჩვენმა პარტიამ და, ფაქტობრივად, თბილისი შევარდნაძის გარეშე დარჩა, იმავე დღეს “თბილგაზი” საკუთრებაში წაი-ღეს, ანუ მათ წაიღეს მენველი ძროხა და თივის ფულს ჩვენ გაახდევინებენ.

სად არის ხელისუფლების დაპირება ზამთრისთვის მომზადების შესახებ?! რისთვის ჩაწყვეთ “იტყვან” “თბილგა-ზი”?! ხელისუფლების ნატრბაბევი “წარმატებული მოლაპარაკების” შედე-გად, თბილისს გაზაფხულამდე უნდა ჰქონოდა უწყვეტი გაზომბარგება. 500 000 დოლარი, რომელიც “აზოტში” გა-დაიხადეს, მართლაც სიმბოლური ფა-საა. “იტყვან” ისევ დაკაბლებული ვყა-ვართ და რას გააკეთებს “აზოტში” - კაცმა არ იცის. დაპირება იმის შესახებ, რომ ინვესტიციებს ჩადებს, ამუშავებს საწარმოს და ვალებს გადაიხდის - ბლე-ფია. მხოლოდ საქართველოს ბიუჯე-ტის წინაშე “აზოტს” 20 მილიონი ლარი აქვს დავალიანება.

მოკლედ, ეს უზარმაზარი ობიექტი მომავალ საარჩევნო კამპანიას შეენი-რა. იმიტომ, რომ ამ ზამთარს თბილისში



რომან გოცირიძე

გაზი არ გათიშულიყო და ჩვენი მთავ-რობა როგორმე მიბოძლებულიყო არ-ჩვენებამდე, “აზოტი” გააჩუქეს, მაგრამ გამოუყენებოდა ფაქტობრივ. ამ ნაჩუქარმა არ გაჭრა.

- ხელისუფლების მართვის ლოგი-კა რა არის ამ შემთხვევაში?

- პირველი არის ის, რომ საქართვე-ლოს ხელისუფლება არ ჰყავს. მას არ აქვს მართვის უნარი; მეორე - ქვეყანა სასველა კორუპტირებული ინტერესებით და ამიტომ ყოველ თვეს ახალ-ახალი პრობლემები წარმოიშობა. ზამთარში ეს არის შუქის პრობლემა, ზაფხულში - შეიარაღებული ძალების დაფინანსება. ანუ, მთავრობა სანყლი ობობასავით ქსელშია გახალატული და ყოველ წა-ბიჯი მასვე უბორკავს ხელ-ფეხს. ხელი-სუფლება ხანძარს მხოლოდ ლოკალუ-რად აქრობს.

- როდის გადაიყვება “თბილგაზი” ენერგეტიკის სამინისტროს?

“თბილგაზი” უკვე დიდი ხანია, ენერგეტიკის სამინისტროს ორიგინე-ლადაც ეკუთვნის. ენერგეტიკის მინის-ტრი ამ მთავრობაში შედარებით სიმა-თიურად გამოიყურებოდა და ახლა ისიც მატყუარა გახდა. მან წარმატებით აითივსა დემოგოგიის ის ხრიკები, რომე-ლაც პრეზიდენტს და მის გარემოცვას ახასიათებს. “თბილგაზი” უკვე ორი თვეა, პრეზიდენტის ბრძანებულებით მუნიციპალური დაქვემდებარებიდან ქონების მართვის სამინისტროს ბალან-სზე გადავიდა. ჩვენ რომც უკან დაბრუ-ნება მოვიტხოვოთ, ამას არავინ გააქე-ნებს, რადგან მთავრობისთვის მთავა-რი არა მისი ამუშავება, არამედ მისგან ფულის ამოღების უფლებაა. მირცხუ-ლავას მეორე დემბაგოცია - “ჩვენ აზოტი მივცით იმას, ვისაც გაზი აქვს”. უნდა იცოდეთ, რომ დაუზერელი კანონია - გაზის რეალზატორის ძირითადი ოც-ნებაა, გაყიდოს გაზი და არა ის, რომ იყიდოს ობიექტი, რომელიც გაზს მოიხ-მარს...

- წლევიანდ ბიუჯეტში დანაკლო-სია. რა შანსია, რომ პარლამენტმა ხმა მისცეს ამ ბიუჯეტის შესრულებას?

- ხაზინისა და ეროვნული ბანკის ინ-ფორმაციით, დანაკლისი 100 მილიონი ლარია. ამ თვეში კიდევ 10 მილიონი გაიზრდება. ამას ემატება დანაკლისი სპეცსახსრებში... მილიანი დანაკლისი, დაახლოებით, 130 მილიონი ლარი იქნე-ბა, მაგრამ მთავრობა ამბობს, რომ არ ააჩერებს სექვესტრის განხორციელე-ბას. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა დასაშ-ტკიცებლად შემოიტანს ბიუჯეტს - კა-ნონის დარღვევისთვის (რადგანაც სეკ-ვესტრი არ განხორციელდა), და დანაკ-ლისისთვის, მთავრობის პასუხისმგებ-ლობის საკითხს დაგაყენებთ.

- გავრცელდა ხმები, რომ მომავა-ლი წლიდან მსოფლიო ბანკი და სავა-ლუტო ფონდი დასაფინანსებელ

პროგრამებს შეამცირებენ. ასეთ შემ-თხვევაში, რით შეავსებს საქართველო ბიუჯეტს? რა არის შემოსავლების ძი-რითადი წყარო, რადგანად რეალურია ბიუჯეტის თანხების მოლოდინი?

- წელს წარმოდგენილი ბიუჯეტი მწირია. შეიძლება ამას უსუსურობიდან გამომდინარე არარეალისტური ბიუჯე-ტი ვუწოდოთ, ან კორუფციასთან კაპი-ტულაციზმური ბიუჯეტი... მთავრობის წევრები კი ხმის ამოღებასა და პრი-ტესტს ვერ ბედავენ. სექვესტრმა, წე-სით, მუდამამთავრობო ბუნტი უნდა გა-მოიწვიოს. მთავრობა ორ ციცქლს შუაა - მას სურს პატარა ბიუჯეტი, რომ არჩე-ნებამდე მშვიდად მიაწიოს და მეორეს მხრივ, ეს სიმშვიდე დამოკიდებული იქ-ნება სოციალურ უკმაყოფილებაზე იმის გამო, რომ მთავრობა კვლავ ვერ დაარი-გებს 14 ლარიან პენსიას. ასეთი ადმინის-ტრირების, ძალთა ბალანსის პირობებში შორს ვერ წავალთ. ამას დაემატება აჭა-რიდან გადმოურციხავი 40 მილიონამდე ლარი (ეს დაახლოებით, ის თანხაა, რო-მელიც ჯარის დაფინანსებას ყოფნის).

- თქვენი აზრით, რა შედეგს მოი-ტანს ჯორბენაძის ბათუმში ჩასვლა? ამბობენ, აჭარას განსაკუთრებულ რეჟიმში აყენებენ, რათა იძულებული იყოს, ეს თანხები ჩარიცხოს და კიდევ სხვაგვარი მხარდაჭერა გამოუცა-დოს კანცელაციას...

- არავითარ შედეგს არ მოიტანს. პრეზიდენტს რომ უნდოდეს, ამ პრობ-ლემას მართლად გადაწყვიტოს - აჭარის თანხები საზღვაო ბანკში აკუმულირ-დება და ეს ანგარიშები უნდა დაუხუ-როს. ის გზა, რომ ტვირთებს უჩერებენ და ბლოკადას უკეთებენ, არ მიმართს სწორად. ეს არ არის კანონიერი. არის კიდევ მეორე გზა, რომელსაც პრეზი-დენტი არის მხარის არ აკეთებდა. აჭარის კანონმდებლობაში არსებული ყველა ის ნორმატიული საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს კანონმდებ-ლებს ენიჭაღმდეგება, სასამართლოს წესით უნდა გააუქმოს; ყველა, ვინც კა-ნონის დარღვევაში უშუალოდაა დამნა-შავე, უნდა დაიჭიროს და გალიაში ჩას-ვას. როგორც პრაქიოი ჩამოიყვანეს უტეტრბურები, ისე უნდა მოკიდო ხელი ყველამ და ჩამოიყვანოს.

- აისახება თუ არა ბიუჯეტში დე-ნის გაზრდილი ტარიფის კომპენსა-ციის თანხები? ანუ ვალი, რომელიც დაპირების მიუხედავად, ხელისუფ-ლების ნაცვლად დემოკრტიის გან-ვითარების ინსტიტუტმა გადაიხადა?

კომპენსაცია ნიშნავს დოტაციას მოხმარებულ შუქზე. როგორც ამბო-ბენ, ეს დოტაცია იქნება 7-10 მილიონი ლარი, რაც ჩემი აზრით, არ იქნება საკ-მარისი. ეს ფული მთავრობას არ აქვს. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველ ბალცეკროვის თავის დროზე ნათქვამი აქვს, რომ დოტაცია არის დახმარება

მდიდრებისთვის - ღარიბების მხარდა-ჭერის ლოზუნგით. იმის გამო, რომ ჩვენთან არ არის დადგენილი, ვინ არის მდიდარი და ვინ ღარიბი - ეხმარებიან მდიდრებს. მიზნობრივი დახმარების უნარი მთავრობას არ აქვს. ეს დოტაცია არის ფული, რომელსაც სოციალურ დახმარებებს ვართმევთ.

მთავრობა ამას ვერ შესძლებს და საკუთარ პოპულისტური ხლართებში გაეჭმება.

- თუ გაჩანია ახალ საკრებულოს ერთიანი სამოქმედო პროგრამა?

- პირდაპირ გეტყვით, არავითარი ასეთი გეგმა არ არსებობს, რადგან არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი სტრუქტურები.

- რატომ ვერ ასცდა საკრებულო ძველ სახეებს? დამტკიცებული მთავრობა ზომ საქალაქო სტრუქტუ-რებში უკვე კარგად გამოიჩნდილი კადრებია?

- საკრებულოს გამგებლებზე ზე-მოქმედების არანაირი ბერკეტი არ გა-აჩნია. მათ პრეზიდენტი ნიშნავს. ჩვენ შევეძილა, მხოლოდ უნდობლობა გა-მოიყუცადით მათ. ჩვენმა პარტნიო-რებმა მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყე-ნეს. კერძოდ - “ლეიბორისტებმა” და “ახალმა მემარჯვენეებმა”. მათ გა-ნაცხადეს, რომ უნდობლობაგამოცხა-დებული მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების დამტკიცებაში მონა-ნილობას არ მიიღებენ. ეს ერთის კითხვით გაციდა. იყო საკითხები, რო-მელზეც სერიოზულად ვთანამშრომ-ლობდით. “დემოკრატებთანაც”, “ალორინება-თბილისთანაც”; მათ კი-დევიაც ვეზუმერ - ძალიან კარგები ხართ, სახელი არ მომწონს-მეთქი. დარ-წმუნებულები ვართ, რომ იქნება სა-კითხები, რაშიც “ახლები” დაგვეჭერენ მხარს და ასეთი მაგალითები უკვე გვექონდა. საკრებულოს ეს მოდელი შემ-დეგ მთელს საქართველოზე გავრცელ-დება, და ეს იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გამოიხატო სამუშაო ენა ყველასთან.

- ამბობენ, რომ “ლეიბორისტები” “ალორინებას” ელაპარაკებიან. ნიშ-ნავს, რომ ჯორბენაძესაც?

- ძალიან კარგად თქვა მიხეილ საა-კაშვილმა - საქართველოში პროვინცი-ალიზმის სუნი პოლიტიკაში მაშინ ვლინდება, როცა საკითხი ასე რიტორი-კულად ისმება - თქვენ ჯორბენაძეს ესაუბრეთ? მიმამ თქვა, რომ თუ საჭი-რო იქნება, ჯორბენაძესაც ესაუბრები და პრეზიდენტსაც, რადგანაც პოლი-ტიკა საუბრის, დიალოგისა და თანამშ-რომლობის სფეროა.

- ჩვენს სინამდვილეში, მოლაპა-რაკება კორუფციული გარიგების სი-ნონიზია. ეს რეალობაა და არა პრო-ვინციალიზმი.

- სამწუხაროდ, მართალი ხართ.

- როცა ხელისუფლებაში მოხ-ვალთ, იხელმძღვანელებთ ამ გერმა-ნელი სოციოლოგის პოსტულატი?

- რა თქმა უნდა. ეს მე უკვე გავაყე-თე. ვიყავი ზეიად გამსახურდიას მთავ-რობაში, ცოტაც შემდეგ მთავრობაში. წელიწადი და რვა თვე ვიყავი ვიცეპრე-მიერი და ამ პოსტებიდან ყოველთვის ჩემი სურვილით ნამოვედი. 1993 წლი-დან 6 წლის განმავლობაში ხელისუფ-ლებასთან არავითარი შეხება არ მქონ-და. 1998 წელს პარლამენტის საბიუჯე-ტო ოფისის ხელმძღვანელად დავინიშ-ნე... თუ ხელისუფლების გარეშე ვერ არ-სებობ, დამტკამული ჩინოვნიკი ხდები. ასე რომ, როგორც ვითხარით, ეს მთავ-რობა ჩვენი კომპრომისის შედეგია.

- სად გადის თქვენი კომპრომისის ზღვარი?

- ძველ სახეებთან ერთად ახალიც უნდა იყოს. მათზე, ვინც ქალაქის მთავ-რობაში დავამტკიცეთ, კარგი ინფორ-მაციები მოდიოდა, თუმცა, ფრაქციას-თან შეხედარაზე მათ ვუთხარი - ბედი მექვენი, რომ ჩვენ საქართვეოში ხმები არ გვაქვს.

- რამდენად სერიოზულია დაპი-რისპირება “ნაციონალებს” და “ლეი-ბორისტებს” შორის?

- ჩვენი პრინციპია - არავისთან ვი-ყიო დაპირისპირებული. თემატურად, ყველა ძალასთან ვთანამშრომლობთ. პირველი ერთი თვე საკრებულოში “ლეიბორისტების” ინიცირებული სა-კითხები გაციდა. იყო საკითხები, რო-მელზეც სერიოზულად ვთანამშრომ-ლობდით. “დემოკრატებთანაც”, “ალორინება-თბილისთანაც”; მათ კი-დევიაც ვეზუმერ - ძალიან კარგები ხართ, სახელი არ მომწონს-მეთქი. დარ-წმუნებულები ვართ, რომ იქნება სა-კითხები, რაშიც “ახლები” დაგვეჭერენ მხარს და ასეთი მაგალითები უკვე გვექონდა. საკრებულოს ეს მოდელი შემ-დეგ მთელს საქართველოზე გავრცელ-დება, და ეს იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გამოიხატო სამუშაო ენა ყველასთან.

- ამბობენ, რომ “ლეიბორისტები” “ალორინებას” ელაპარაკებიან. ნიშ-ნავს, რომ ჯორბენაძესაც?

- ძალიან კარგად თქვა მიხეილ საა-კაშვილმა - საქართველოში პროვინცი-ალიზმის სუნი პოლიტიკაში მაშინ ვლინდება, როცა საკითხი ასე რიტორი-კულად ისმება - თქვენ ჯორბენაძეს ესაუბრეთ? მიმამ თქვა, რომ თუ საჭი-რო იქნება, ჯორბენაძესაც ესაუბრები და პრეზიდენტსაც, რადგანაც პოლი-ტიკა საუბრის, დიალოგისა და თანამშ-რომლობის სფეროა.

- ჩვენს სინამდვილეში, მოლაპა-რაკება კორუფციული გარიგების სი-ნონიზია. ეს რეალობაა და არა პრო-ვინციალიზმი.

- სამწუხაროდ, მართალი ხართ.



ანა კორძია-სამადაშვილის სპიტი ბარბაროსთა მოლოდინში



“ბარბაროსების თეორიას” მეგობარ მხატვარს ვუმაღლი, რომელსაც გაუმართლა და გარკვეულ წრეში პოპულარული გახდა. ამ თეორიის თანახმად “თბილისელებს” დიდი დღე აღარ უწერიათ – ახალი ხალხი მათ ჩვეულ საარსებო გარემოს შეგნებულად სძობს და სახლების ნგრევასა და ახალი ფასეულობების დანერგავსთან ერთად ნელ-ნელა ბოლო ეღება “ქალაქელობას” იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც ამ სიტყვას ერთი-ორი დარჩენილი მოპოკანელი ანიჭებს.

ანა კორძია-სამადაშვილი, 2002 წელს, ჟურნალ „ნათესავების“ კონკურსის ფარგლებში

პირველი შოკი თბილისელებმა ე.წ. “თბილისის ომის” დროს მიიღეს: კარგები. არა თვითონ კარგები, ჭუჭყიანი ლეიბები და მხატვრის სახლიდან გამოსული ბორშქისა და საპირფარეუმოს სუნი, არამედ უცნაური ხალხი, რომელიც იმხანად რუსთაველზე გამოიჩნდა. საიდან მოვიდნენ, ვინ იყვნენ, რა უნდოდათ – უფელმა უწყის, გარკვევა ვერავინ მოასწრო, იმიტომ რომ ისევე მოულოდნელად გაქრნენ. ქალაქმა შვებით ამოისუნთქა, და სულ ტყუილად – ეს ხალხი სულ არ იყო სამიში, იმიტომ რომ თბილისელებს ნამდვილად არაფრით ჯობდა და, შესაბამისად, ვერ მოერეოდა. ძირითადი მოწინააღმდეგე მერე გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც მშრალი ხიდი თბილისელებს სახლებიდან გაზიდული საქსონური ფაიფურით და ვერცხლის სამკრეებიით აივსო.

საერთოდ, რას ნიშნავს “თბილისელი”? თბილისელი იყო, მაგალითად, ძია ჟორა, ზემოთ, ვერაზე ცხოვრობდა, მამამისს “საპოჟნია” ჰქონდა“ კირ-პირნი ზაფოდათი“, ახლანდელ ბელისკის ქუჩაზე. სიმაღლით დაახლოებით მეტრანახევარი იქნებოდა, მუხლებმოკაკული, სამაგიეროდ თითები ჰქონდა საოცრად გრძელი, “ასტრასგან” გაყვითლებული.

ძია ჟორას სტალინი უყვარდა. მასზე რამე კარგს რომ ტყეოდა, თავს გადაადგებდა, თითს იბიშვრდა და ტკბილად ჩაილაპარაკებდა: **“Он знал, я-ცო”**. სტალინის დროზე ყვებოდა, რომ “იმ დროს “პარიადოკი” იყო, რამერუმე, კაცი კაცსა გამბა, ქალი – ქალს; აბა, ახლა გადი ქუჩაში, ნახე, რა ხდება.” ყოველ ფრაზას აყოლებდა: “მე მენ გელაპარაკები”.

თავის დროზე მძღოლი იყო, მინისტრს ატარებდა. მერე აღარ მუშაობდა და სახლში ეჩხუბებდნენ, გაიხიქრო. **“Я человек работы**, კაცო. შენ მე სამუშაო მომიეცი და **дальше я знаю**.” ბოლო წლები ქუჩაში აღარ გემოდიოდა, კარის წინ დგებოდა, ტილოზე, და რეჰში ზანეგები რომ იქნევენ, ისე იქნებოდა ხოლმე უგრძელეს საჩვენებელ თითს: “წინათ, კაცო, მე შენ გელაპარაკებდი, კიტრს აჲ გაუცქენიდი, სუნი იჲ იდგა,” – თითით შორს აწევნებდა. “პარიადოკი” იყო. მაშინ “პრაპისკა” იყო, კაცო, გლეხს ქალაქში ვინ გააჩერებდა.” ამის შემდეგ უწინაშე გლეხს მიმართავდა: “ჩამოდი, ივაჭრე, მარა გახბა ექესი საათი, **без прописки**, დავაი აქედან.” ხელს იქნევდა. “გლეხს ქალაქში ვინ გააჩერებდა, კაცო. მერე ის რო არ მოვიდა, ის, უხსენებელი,” – ხრუშჩოვს არ ახსენებდა, იმდენად ეზიზღებოდა, “და აი, “დვორნიკის” ცოცხით რო არ მოხვეტა, ქალაქმა “აბაროტი” ვერ აიღო, მე შენ გელაპარაკებ.”

ძია ჟორამ იცოდა, რომ **“Самый страшный – это полуинтеллигент**. მა-გათ საძღომად ლობიო არა ყოფნიდათ. ეგენი ტრაკს ფოთოლით იწმინდავენ. ეგენი, “ძერეგენი”, მაგათ ხუთოთახიანი “კვარტირა” რომ მისცე, მო-ვა, ცხვირწინ “შობრინას” ავიტენებს.”

“მერე, ზვიადა რო არ მოვიდა“, გაგრძელებები ჰქონდა, “და მეუბნება, სომეხები წადი. სად წაივდ, “ძიგიათ პაკალენია” ვარ ქალაქში. შენ მე გუ-შინ ჩამოთარეული ხომ არ გგონივარ? მე რას მეუბნები, წადი? ელიაზე კიითხე, ჟორა ვინ არი, **они там знали**. ეხლა მიტინგი, რამე-რუმე, მე არ და-ვინახო, დავაი ეხლა აქედან.”

■ ■ ■

ჯერ-ჯერობით ძველი თბილისელები ახლებს, ძია ჟორას საძულველ, გამდიდრებულ **полуинтеллигент**-ებს გოიმებს უწოდებენ. თავს იცავენ. არადა, “ბარბაროსებთან” სადავო სულ უფრო ნაკლები რჩებათ.

მაშაკაცთათვის ყველაზე მტკივნეული საკითხით დავინვიო: ბარბა-როსთა ქალები უფრო ღამეზები არიან. ისინი ვარჯიშობენ, აცვიათ ღამა-ზი და ძვირფასი სამოსი, საერთოდ, უფრო მიმზიდველი საზოგადოებაა, ვიდრე **исчадые распродаж**, მეორადი საქონლის მაღაზნიდან გამოსული, სამაშრბრტო ტაქსს ადევნებულა ცვლელტითა და უსარგებლო ინტე-ლექმით დამძიმებული მასა. ცხადია, ბარბაროსთა ქალებს თბილისელი (ციტატა) “ლოქო ძველი ბჭები” არ აინტერესებთ, მათ ჯანსაღი მამრები სძირდებოთ, ანუ, ზოგაგიერთების უსაფუძვლო სნობიზმით ნაკარნახევი გა-მოთქმის თანახმად, კუთნამგარივ და გონებაჩლუნგი კაცები; ხოლო რაში არგიათ ძირძველ თბილისელებს არაჩლუნგი გონება, უცნობია: **“Если ты такой умный, почему ты такой бедный”**

ბარბაროსების შვილები საუკეთესო განათლებას იღებენ. რაც არ უნდა იქედნურად უყურონ ინტელექტუალ დიდკოებმა ბარბაროსების (ცოლე-ბის სოლარიუმის რუჯვით დაფარულ გერმე ფეხებს (კვლავ ციტატა: “გა-მოსივებისგან გაეზარდა ამსიგრძე, სულ ჩერნობილისი ბრაღია.”) მათი შვილები ბარბაროსიოფრებთან ახლისაც ვერ მიიღვენ, ისინი ბევრად უკე-თაც სწავლობენ და უფრო იშვიათადაც ემართებათ სურდო და ანგინა. სი-ცხლისუწარიაონები არიან.

დაბეჩაგებულ თბილისელს მიაჩნია, რომ კარგ მანქანაში ჯდომა ცუდი ტონია (რადგან თვითონ არა ჰყავს), რომ ძველ უბანში, კედლებჩამოტყაყე-ბულ სახლში უნდა იცხოვროს. მართალია, ამ ბოლო დროს სულ უფრო ხში-რად ამიოფეს ხოლმე თავს ღრმადელესა თუ გულდანის რომელიმე მიკრო-რაიონში, კუთხის ბინაში, მერვე სართულზე, იმის გამო, რომ ოდესღაც და-აივნყდა, რომ უუნაროა, და კვერცხის ბიზნესით გამდიდრება სცადა, მაგ-რამ მერე რა? სამაგიეროდ, სახლში ან ბალანჩიკაძის რთაილი უდგას, ან ტექნიური ხალიჩა აქვს დაფენილი (მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე არავინ იყიდა, მაგრამ ამას ხმაშაღლა არასოდეს იტყვის). ის აღფრთოებუ-ლია, რომ ხელისუფლების სათავეში პრიყვები მოვიდნენ, რომ ჟურნალის-ტები უნიფურები არიან, რომ ქუჩის ააღლებს ზოცავენ, და დარდს საღა-ნოობით თავისწიარებს უზიარებს ხალხი, რადიო “ფორტუნასა” და იაფია-ნი არყის თანხლებით, მაშინ, როცა ბარბაროსი იაფიან არაყს არ სვამს, იმი-ტომ რომ თავს უფრთხილდება. ის არც ლარინა სიგარეტს ენევა, საერთოდ, სიგარეტისთვის თავის დანებებას აპირებს.

თბილისელს წარსული უყვარს. არა იმდენად ძველი თბილისი, რომელ-საც დიდად არ მოსწრებია, რამდენადაც ის დრო, როცა მეცნიერებათა კან-დიდატის ხელფასით შესანიშნავად ცხოვრობდა და თვეში სამჯერ მიფრი-ნავდა ხოლმე მოსკოვში. მოსკოვი და საბჭოეთი მისი დიდი სიყვარულია, ოღონდ ამას მაინცდამაინც არ ამბობს, ისე, გაკვრით თუ მისხსენიებს. მას მიაჩნია, რომ რუსული თუ არი, კაცი არა ხარ – აბა, რა ენაზე კითხულობ კლასიკოსებს?

ბარბაროსმა რუსული არ იცის და კლასიკოსები არ კითხოლობს და მა-ინც მშვენივრად გრძნობს თავს, თბილისელზე უკეთ მაინც. სამაგიეროდ, მის შვილებს რუსულიც ეცოდინებათ, და, თუ მოუწდათ, სუბილიც. ბარბა-როს წარსული არ გააჩნია და მომავლისთვის ზრუნავს. შესაბამისად, მო-მავალი მას ექნება და არა ჩემს საყვარელ კაცებს, ჩაჩაწული, ოდესღაც ძვირფასი შარვლებით და სევდიანი თვალებით რომ დაიარებინა ქალაქის ქუჩებში და ჯერ-ჯერობით მაინც ქმნიან მის სახეს.

იმედია, ორმოციოდ ნელი კიდევ დარჩენიათ და მე მათ გაქრობას ვერ მოვესწრები.

რეჟისორები ისევ პროტესტს გამოთქვამენ

მერაზ თავაძე: “გვინდა, ჩვენმა თეატრებმა იცოცხლონ”

ჰერა ნაფარიძე

გუშინ თბილისელმა რეჟისორებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს საკრებუ-ლოს სოციალური კომისიის ახალი თავ-მჯდომარისადმი უნდობლობა. საკუ-თარი ბედის გადასაწყვეტად გააქტიუ-რებული ხელოვანები, უნებურად, დიდ პოლიტიკურ ინტრიგებში გაეზნენ. რე-ჟისორებისა და “თეთრი მანდილოს” მასშედიასთან შეხვედრა მარჯანიშვი-ლის თეატრში გაიმართა.
ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდე-საც რეჟისორების ჯგუფმა საკრებუ-ლოს სოციალური კომისიის თავმჯ-დომარის ერთ-ერთი კანდიდატურა გააპროტესტა. “ბუნებრივია, პრო-ტესტი გამოვხატეთ შატბერაშვილის მიმართ, რაგდაზნაც იგი გარკვეული არაა იმ სფეროში, რომელშიც მას ჩაა-ბარეს და რომელშიც ჩვენ გმუშაობთ. როგორ შეიძლება კაცს, რომელიც თეატრში საერთოდ არ ყოფილა და საერთოდ არ იცნობს მას, ჩვენნი თავი მიანდონ,” – ამბობს რეჟისორი მერაზ

მთელი ეს ჭაზი

20-იანი წლების ჩიკაგო და ჯაზი. ორი სკანდალური მკვლელობა. მთელ ამ აურზაურზე გაკეთებული სპექტაკლი, რომელიც საუკუნის ერთ-ერთი გაუძლო წარმატებული მიუზიკლია და ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ჯინჯერ როჯერსი ასრულებს... ჩიკაგოს ერთი ძველი ამბავი შეიძლება მოკლედ ასე მიმოვიხილოთ -ინსტიგა, რომელმაც საუკუნის გამოცდას გაუძლო და თავისი ერთგული მაყურებელი 21-ეშიც გამოიყოლა.
პოპ-არტში დამკვიდრების შემდეგ ახლახან მიუზიკლ “ჩიკაგოს” კინოეკრსიაც გადაიღეს. სპექტაკლში, რომლის ევროპული პრემიერაც ლონდონში კვირას გაიმართა, მთავარ როლებს რიჩარდ გირი, ეტტრინ ზეტა ჯონსი და რენე ზელევეგერი ასრულებენ. ისინი დელბიორის გარეშე მღერიან, ცეკვავენ და თანაც, ირწმუნებიან, რომ ამ ყველაფერს თავს შესანიშნავად ართმევენ.

თამარ ბაბუაძე

ახლა “ჩიკაგო”, მანამდე “მულენ რუჟი” – როგორც ჩანს, ბოლო დროს პოლიეუდი წარსულს იხსენებს და მიუ-ზიკლებს ეტანება.

“ჩიკაგოს” ეკრანიზაციის ამბავი მით უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, თუ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ იყო დრო, როცა ფილმი მოღალატე შეყვარებულის მკვლელი ქალის, როქსი პარტის როლს ჯინჯერ როჯერსი ას-რულებდა. წარმოდგინეთ ლეგენდად აღიარებული მოცეკვისა და მსახიო-ბის მოძრაობები და ისიც გაიხსენეთ, რომ რიმიქში მას “პრიჯიტ ჯონსის დელიორი” მსახიობი, რენე ზელევეგერი ცვლის. მთავარი როლის შემსრულებ-ლები კოლეგის ქორეოგრაფიული მო-ნაცემების შესახებ ირწმუნებიან, რომ ზელევეგერს ბრწყინვალე მოძრაობები აქვს.თუმცა,მაინც საინტერესოა,ფრე-ედ ასტერის პარტნიორის ფონზე, რო-გორ შეძლო, ერთი შესვდვით, არაქორეოგრაფიული მონაცემების მექრე რენემ სექსუალური და გრაციოზული როქსი პარტის როლის გათავისება,თა-ნაც – თავისი საცეკვაო ნომრებითა და სიმღერებით...

“ჩიკაგოს” აღმასვლა მსოფლიო შოუ-ბიზნესში 1926 წლიდან დაიწყო, როდესაც ჟურნალისტმა მორის უოტ-კინსმა, ნამდვილ ამბავზე დაყრდნო-ბით, პიესა “როქსი პარტი” დაწერა. ერ-თი წლის შემდეგ უოტკინსის პიესის მი-ხედვით პოლიეუდი ფილმიც გადაი-ღეს,მას 15 წლის შემდეგ მეორე –“როქ-სი პარტიც” მოჰყვა.

„დებიუტი“ იხვაზზა ნადირობით გაიხსნა

მაია აბაშიძე

დანერეული და შემდეგ კარგად გა-მაცრებული უძველესი სასწავლო თე-ატრის დარბაზი. ახლა აქ წვიმა და თოვ-ლი ჩამოდის, მაგრამ მაღლ ისევ ძველ სახეს დიობრუნებს... მუხარაბები - ნან-გრევებისგან თავის დასაცავად - ასეთი ორიგინალური იყო გარემო, სადაც სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილ-მების ფესტივალი “დებიუტი” გაიხსნა. ეს “აქცია” არ სამპროტესტო, არამედ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, რადგან მომავალი წლიდან “დებიუტი” სწორედ ამ დარბაზის სცენაზე დამიკვიდრებს ადგოლს.
“ახლა ჩემი ახალგაზრდობის ოც-ნების ნაწგრევებში ვდგავარ, - თქვა რეჟისორმა და ჟურის ნევრმა ანდ-რო ენსლიქმე, - თქვენ არ გაქვთ თეატ-რი, მაგრამ გაქვთ თავისუფლება”.

ქალაქი, რომელისც არ არსებოდა

თბილისის ისტორიის მუზეუმში, “ქარვასლაში” გუშინ ფოტო-კოლაჟის გამოფენა გაიხსნა – ნინო გერსამია თბილისის მცხოვრებლებსა და სტუმრებს თავის ქალაქს წარმოუდგენს.

ნატა თოთლაძე

ნინო გერსამია არქიტექტორი გახ-ლავთ, აჟამიად თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოხე კურსის სტუდენტია. გამოფენის ავტორის არქიტექტურული განათლება უმაღლეს მოგხვდებათ თვალში - პერსპექტივის ასეთი უჩვეუ-ლი დანახვა, ალბათ, მხოლოდ პრო-ფესიონალს შეუძლია. ახლავე განგრძა-ტავ: ძველი თბილისი, რომელიც ნინო გერსამიას ფოტონამუშევრებზე აღ-ბეჭდილი, სინამდვილეში არ არსებობს. არა, დანახვისთანავე მიხვდებით, რომ თბილისი, მაგრამ თან რომ თბილისი არ არის?

ნინო გერსამია, 2002 წელს, ჟურნალ „ნათესავების“ კონკურსის ფარგლებში

ამ შენობების ნაწილი, უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს, მაგრამ ყველას-თვის ნაცნობია, ვისაც კი ძველი თბი-ლისის ხედები დაუთვალევრებია: “სო-ბორი”, ვერის ხიდი, ბევრი, ბევრი ჩუ-ქურთმიანი აივანია... ნაწილი ჩვენს დრომდეც შემოინახა, მაგრამ - საკმაოდ სახეცველი და გაპარტახებული. თუმცა, ნიწოს მიზანი საარქივო მასა-ლის გამოფენა არ ყოფილა. მან შექმნა თავისი, ახალი ქალაქი, სადაც ვერის ხი-დიდან მოკირწყლული ადმართით მე-ფრის ნაცვლის სასახლეში შეიძლება მოხვედრა, სადაც სრულიად მოულოდ-ნელ ადგილასაა აღმართული მეტეხის ფაქრის ნაცვლის სილუეტები, და ყველა-ზედრის ვიქტორ ზილოვის (ზაჩო ჩაჩი-ბაია) ცხოვრება, რომელსაც ჰყავს მე-



ნინო გერსამია

შესტეკრიან – შესაძლოა, გუშინ ქარ-ვასლაში შეკრებილი საზოგადოებიდან ვინმეს დიდი ბაზუები და ბებიები.

“როცა ეს ფოტოები გავრეიდგვერდ დალაგებულ ვნახე, მათი გაერთიანება მომიხდა, გაცოცხლება,” - მითხრა ნი-



ღიაზა მინელი და ზოზ ფოსი “კაზარს” რეპეტიციაზე

პროექტის განხორციელება მხოლოდ წელს მოხერხდა და თან - სულ სხვა მსა-ხიობების მონაწილეობით. დებოუტანტ-მა კინო-რეჟისორმა რობ მარშალმა გა-დაწყვიტა, რომ ექსპერიმენტების დრო არ იყო და ზოზ ფოსის მიერ შექმნილი ტრადიციები არ დაურღვევია (ფოსის გადაუღებს ხომ დღემდე ვერ აღწევენ თავს “ჩიკაგოს” ვერც ბროდველი და ვერც უესტ ენდელი რეჟისორები). ასე რომ, ფილმი, საბოლოო ჯამში, “ტექსტ-თან ახლოს” შესრულებული გამოვიდა.

მთავარი როლის შემსრულებლებს კი ძალზე დაესმართ ბროდვეიზე მი-ღებული გამოცდილება – გირიცა და ზეტა ჯონსიც ხომ პოლიუდში მიუ-ზიკლებიდან მივიდნენ. რენე ზელევე-რს კი ეტტრინ ზეტა ჯონსის ნიჭიერები-თაა აღფრთოვანებული. “ვიციდი, რომ ის კარგად ღმურდა, მაგრამ როდესაც კეტრინმა სიმღერა **All That Jazz**-ი შესა-რულა, მოსმენილმა ყველაწარი მოლო-დინს გადააჭარბა. მე ცეკვაც მისვან ვისწავლე” , - განუცხადა ჟურნალის-

ტებს ზელევეგრმა მიუზიკლის ღონ-დონური პრემიერისას. მას ფილმის რე-ჟისორიც ეთანხმება: თავიდან ჩაფიქ-რებული ჰქონდათ, რომ “ჩიკაგოს” ფი-ნალური სცენისთვის **All That Jazz**-ი ჯე-ნებ ჯექსონის უნდა ემღერა, მაგრამ ზე-ტა ჯონსის ვოკალური მონაცემების გა-მო ჯექსონი აღარ შეაწუხეს.

შედეგით კმაყოფილი ჩანს რიჩარდ გირიც: “თავიდან მრცხვენოდა და რე-პეტიციას ცოლის თანდასწრებითაც კი ვერ გადდიდი. მაგრამ შემდეგ ვიძე-რე კიდევ და “ჩიჩოტკაც” ვიცეკვე”, - განაცხადა მან. საფარულოდ, მისი კმა-ყოფილებს ერთ-ერთი მიზეზი ისიც ა-რის, რომ გირს “ჩიკაგოში” შესრულე-ბული როლისთვის “ოსკარის” მოპოვე-ბასაც უწინასწარმეტყველებენ.

გირის ბუდი მაშტუი გაიოკვეცა, “მუ-ლენ რუჟის” გამოცდილების გათავი-ლწონინებით კი (ის შარშან რვა მონიშა-ციაზე იყო წარდგენილი), საფერზე-ლოა, რომ მღევიანდელ “ოსკარზე” მთა-ვარ როლში მიუზიკლი “ჩიკაგო” იქნება.

ნადირობით გაიხსნა

თვის, - “როცა საქმე საქმეზე მიდგება, ვერ სივრი!”

იხვებზე ნადირობა ჩაიშალა, სამა-გიეროდ, სტუდენტების სამსახიობო დებოუტი ნამდვილად შედგა - რამდ-ნად წარმატებულად, ამას ჟოური გა-დანყევებს.

ფესტივალი გრძელდება. 10 დეკემ-ბერს წარმოდგენილი იყო ლ. რაზუმოვ-სკიასია პიესა “ქალბატონო ელენე, ძვირფასო...” რომელსაც სამსახიობო ფალკუტეიტის მესამე კურსის სტუდენ-ტებთან ერთად რეჟისორი, საქართვე-ლის სახალხო არტისტი ნანა დემტე-რაშვილი წარმოადგენს. სპექტაკლი მოსწავლე-მასწავლებლისა და თაბაბა-თა ურთიერთობის პრობლემებზე მოგ-ვითხრობს და მარადიულ თემებს ქება-პასუხისმგებლობას, პატიოსნებას, ე-თილშობილებას და სხვ. მხატვრული გაფორმება მხატვარ თინათინ შაიწის ეკუთვნის.

ნომ. თუკი ასეა, მიზანს შესანიშნავ-დალენია: გამოფენის ყოველი დამთვა-ლიერებული ცოცხალ, ლამაზ და უჩვე-ული ქალაქში ამიოფეს თავს.

გამოფენა “ძველი თბილისი” 2003 წლის 7 იანვრამდე გაგრძელდება.

"ოქროს საჰა" "ტაუარავს"

გერმანულ ჟურნალ "ბილდ ამ ზონტაგის" მიერ მკითხველთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ უგზოობის ავტომობილთა შორის გამარჯვება და მასთან ერთად "ოქროს საჰე" მიანიჭა "ფოლკსვაგენის" ახალ ავტომობილ "ტუარეგს", რომლის მსოფლიო დებიუტი პარიზის ავტოსალონზე შედგა, გაყიდვები კი 22 ნოემბრიდან დაიწყო.



მაღალი კლასის ამ სპორტულ ჯიპს ჟურნალის მკითხველთა მესამედმა მიანიჭა უპირატესობა. არადა კონკურსში მონაწილეობდნენ უგზოობის კლასის ისეთი ფავორიტები, როგორებიცაა "ბემეე X5" და "ტუარეგის" მოძმე "პორშე კაიენი".

ეს კონკურსი 1976 წლიდან ტარდება და მისი ორგანიზატორია გამომცემლობა "აქსელ სპრინგერ ვერლაგი". კონკურსის ორგანიზატორს საუკეთესოს გამოვლენაში შემწეობას უწევს 28 კაცისგან შემდგარი ჟიური, რომელშიც გაერთიანებული არიან ცნობილი ადამიანები, საავტომობილო სპეციალისტები, საავტომობილო ჟურნალისტები და ავტომრბოლები, რომელთა შორისაც, ტრადიციისამებრ, ექვსი ქალია.

კონკურსი გაცემს ევროპაში ყველაზე სოლიდურ პრემიას, რომელიც "წლის საავტომობილო მოვლენას" მიენიჭება. საუკეთესო ავტომობილს რჩევეთ მილანის მახლობლად განლაგებულ კომპანია "პირელის" პოლიგონზე, რომელზეც ამჯერად ოთხი კლასის 20 ავტომობილი იყო წარმოდგენილი.

შარშანდელიდან მოყოლებული, კონკურსში შეტანილ იქნა სპეციალური კლასი "T2", რომლის საუკეთესო ავტომობილსაც მხოლოდ "ბილდ ამ ზონტაგის" მკითხველები ირჩევენ.

ავსტრიელები "ფოლკსვაგენს" ამჯობინებენ

ავსტრიულ ჟურნალ "აუტორეიუს" მიერ მკითხველთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ წლის საუკეთესო კომპაქტურ ავტომობილად "ფოლკსვაგენ გოლფი" აღიარა, მიენიგნების კლასში კი პირველობა მიანიჭა "ფოლკსვაგენ მარანს". მცირე კლასში მეორე ადგილი დაიკავა "ფოლკსვაგენ პოლომ".

ჟურნალის მკითხველთა აზრით, "გოლფი" "თანაკლასელებში" გამოირჩევა იმით, რომ მის არსენალში შედის ძრავების დიდი არჩევანი, რისი საშუალებითაც ევროპის ეს უცვლელი ბესტსელერი სხვადასხვა გემოვნების მყიდველთა მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

რაც შეეხება "მარანს", ეს ავტომობილი თავის თვისებებში აერთიანებს მიკროავტომუსის ტევადობას და ლიმუზინებისთვის დამახასიათებელ კომფორტსა და დინამიკას.

ახალი ქარხანა "ზუგადისტოვის"

გერმანიის ელზასის რეგიონის ქალაქ მოლსში დაწყებულია ახალი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 2004 წლიდან წლიურად 50 ცალ სუპერკარ "ზუგატი გეირონ EB 6.4"-ს გააშუშვებს. რა თქმა უნდა, ყველა ავტომობილი ხელით აიწყობა და როგორც "ზუგატის" პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ნოიმაინ ირწმუნება, ახალი მოდელი ლეგენდარული ფრანგული მარკის სახელოვან ტრადიციებს გააგრძელებს.

ჩვენს მკითხველს კი შევახსენებთ, რომ "ვეირონი" 16-ცილინდრიანი ძრავით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრეც 1001 ცხენის ძალას შეადგენს. ავტომობილი კი მილიონი ევრო ეღირება.

"ჰანერალ მოტორსი" იაპონელებს ეპიზრება

მსოფლიოს უდიდესი საავტომობილო კონცერნის _ "ჯენერალ მოტორსის" ხელმძღვანელმა რობერტ ლუცმა გამოაცხადა, რომ ორი-სამი წელია საჭირო იმისათვის, რომ მისი პროდუქცია იაპონელი კონკურენტების, "ტოიოტასა" და "ჰონდას" ხარისხს გაუტოლდეს.

როიტერის ინფორმაციით, დღეისათვის ამ მაჩვენებლებით "ჯენერალ მოტორსის" პროდუქციას ამერიკაში მესამე ადგილი უკავია, სწორედ, "ტოიოტასა" და "ჰონდას" შემდეგ.

სპეციალისტების აზრით, ავტომობილების ხარისხიანობით იაპონელებთან გატოლების შემდეგ "ჯენერალ მოტორსს" კიდევ, მინიმუმ, ორი წელი დასჭირდება მყიდველთა შორის დაკარგული ნდობის აღსადგენად.

ლუცის თქმით, კონცერნში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მონოდებულია, ნებისმიერი ტექნიკური პრობლემა სწრაფად აღმოფხვრას. ამასთან, დეფექტების აწყობის პროცესში ლიკვიდაცია "ჯენერალ მოტორსს" თავიდან აარიდებს იმ უზარმაზარ ხარჯებს, რომლებიც საგარანტიო პირობების შესრულებას სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები სულ უფრო ხშირად ექმნებათ "ტოიოტასაც" და "ჰონდასაც". ამის მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ამ მარკის სულ უფრო მეტი ავტომობილი იყიდება, რასაც თან სდევს წარმოების სწრაფი გაფართოება, ამას კი, შედეგად, პროდუქციის ხარისხის დაცემა მოსდევს.

"მაიხაზი" - ჰიპი, ჯაპი და ლიზუზინი?

თავისი კლასიდან გამომდინარე, უმაღლესი კლასის ამ ავტომობილს ყველაზე მეტად ლიმუზინობა შეეფერება. "მერსედეს-ბენცი" ზომ ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ფლაგმანური მოდელების დაგრძელებული მოდიფიკაციებით, რომლებიც უმდიდრესი ადამიანებისა და სახელმწიფო მმართველებისთვის მზადდება.

რაც შეეხება კუპეს, ამ ზომის მანქანებისთვის მსგავსი პრეცედენტი, კარგა ხანია, "ბენტლიმ" შემოგვთავაზა და არც ისაა გამორიცხული, რომ მალე საავტომობილო სამყარომ ფსევდოსპორტული "მაიბახიც" იხილოს.

მაგრამ, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ეს მდიდრული მოდელი უგზოობის მანქანის იერსახით. თუმცა, დასავლურ პრესაში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ "დიპლომკრაილერს" უკვე დაწყებული აქვს ამ ველურ იდიზე მუშაობა და თუ ამ მარკის ჯიბი მაინც გამოვა, მას, ალბათ, კონკურენტი არ ეყოლება...

"ავტო-ვაზი" ახალ "ოქას" ქმნის

უმსხვილესი რუსული კომპანია "ვოლგის ავტოქარხანა" ახალი მიკროლიტრაჟიანი ავტომობილის შექმნაზე მუშაობას შეუდგა, რომელმაც, ჩანაფიქრით, უნდა შეცვლოს მოდელ "ოქას" ახლანდელი თაობის ავტომობილი.

ახალი მოდელი ჯერაც ესკიზების და პირველი პლასტიკური მაკეტების სტადიაში იმყოფება და მისი კოდური სახელწოდებაა "ოკა 2". სერპუხოვის ავტოქარხნის მთავარი ინჟინრის, სტანისლავ შელესტოვის განცხადებით, ახალი მიკროავტომობილი აუცილებლად მოეწონებათ პოტენციურ მყიდველებს.

სიახლე "ოქას" პირველი თაობის ავტომობილისგან პირველ რიგში ზომებით იქნება განსხვავებული. იგი წინამორბედთან შედარებით 100 მილიმეტრით გრძელი, ამდენითვე განიერი და მაღალი იქნება. გაიზრდება სალონის მოცულობა, კაპოტქვეშ კი 50 ცხენისძალიანი ძრავი განთავსდება. რაც შეეხება მასის, ის ძველი დარჩება.

კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, საცდელი ავტომობილის შესაქმნელად საჭიროა 5 მილიონი დოლარი. ათვერ მეტი დასჭირდება სერპუხოვის ქარხნის შესაბამისი ტექნოლოგიური ხაზეებით აღჭურვას. წინასწარი ვარაუდით, ახალი ავტომობილის სერიული წარმოების დაწყება 2005 წლისთვის იქნება შესაძლებელი.

წარმოაგისტვის ავტოადაზა ახალი ინგლისარი სპორტკარი

ბირმინგემის ავტოსალონზე კომპანია "FBS ნეჯინეარინგის" მიერ ნაჩვენები იქნა ორიგინალური დიზაინის მქონე მომცრო როდსტერი "სენსუსი", რომელიც უკვე მზადაა წარმოებაში გასაშვებად.

ავტომობილის დიზაინი უჩვეულო ფორმებით გამოირჩევა. იგი მთლიანად კომპოზიტური მასალებისგანაა დამზადებული, კაპოტქვეშ კი განლაგებულია 2.5-ლიტრიანი, 24-სარქველიანი ძრავი, რომელიც 170 ცხენის ძალას ავითარებს და მისი საშუალებით 970-კილოიანი ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრფავს 5.8 წამზე ნაკლებს უნდება.

"სენსუსის" შემქმნელებმა განაცხადეს, რომ მათი ამოცანა იყო ისეთი სპორტული ავტომობილის შექმნა, რომელსაც, ამ კლასისთვის შეუფერებლად, რბილი საჰის მექანიზმი ექნებოდა.

წინასწარი ინფორმაციით, ახალი ავტომობილის გაყიდვები მომავალი წლის დასაწყისიდან დაიწყება. კომპანია იმედოვნებს, რომ შედარებით დაბალი ფასის (საბაზო მოდელის ღირებულება 26 370 გირვანქა სტერლინგია) წყალობით, "სენსუსი" მალე მოიპოვებს პოპულარობას ავტომოყვარულთა შორის.

33 მილიარდი ევრო მომავალ ხუთწლეულში

გერმანია და "ფოლკსვაგენი" კვლავ ევროპის ლიდერები არიან

ფრანკფურტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ სამოდლო რიგის გასაახლებლად და ახალი მოდელების მოსამზადებლად კონცერნს უახლოეს ხუთწლეულში 33.3 მილიარდი ევროს კაპიტალდაბანდება აქვს განზრახული, რის შედეგადაც 2007 წლისთვის მისი პროდუქციის გაყიდვების მოცულობამ 6 მილიონს უნდა მიაღწიოს.

ევროპის უდიდესი ავტომწარმოებლის განცხადებით, აღნიშნული თანხა ოდნავ მეტია იმასთან შედარებით, რაც ერთი წლის წინ იგეგმებოდა. სამაგიეროდ, ზოგიერთი დამოუკიდებელი მარკეტოლოგი თვლის, რომ გაცილებით მეტი თანხის ინვესტირება იყო მოსალოდნელი.

"ეს თანხა იმ საგარაუდო მოგების 6-6.5 პროცენტია, რაც "ფოლკსვაგენს" მომავალ ხუთწლეულში უნდა ჰქონდეს და გაცილებით ჩამოუვარდება იმ ინვესტიციებს, რომლებიც მის მიერ უკანასკნელი ორი ხუთწლეულის განმავლობაში იქნა განხორციელებული", - ნათქვამია ფრანკფურტული ანალიტიკური ცენტრის ბიულეტენში.

ხუთწლეულის ბიუჯეტის გეგმა პირველია, რომელსაც აპრილში, "ფოლკსვაგენის" სათავეში მისვლის შემდეგ განიხილავს კონცერნის მთავარი აღმასრულებელი ბერნდ პი-შეტსრიდერი, ვინც ამ პოსტზე ავტოგიგანტის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ფრედინანდ პიხი შეცვლია.

"პიშეტსრიდერი ფინანსებში უკეთ ირკვევა, ვიდრე პიხი, რომელიც უფრო ტექნიკურ საკითხებშია განაფული და ასპრაციებითაინ ინჟინერია", - ამბობს "ზანცჰაუზ მეტც-ლერის" ავტოანალიტიკოსი იურგენ პიპერი, რომელიც ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მომავალი გეგმების შეფასებისას კონცერნის ახალი მფიწი ნინა პლანზე პრეოქტების ფინანსურ მხარეს აყენებს.

დღეისათვის "ფოლკსვაგენს"



მცირე კრიზისი აქვს. ბაზარზე მისთვის სრულიად ახალი სეგმენტის მოდელების წამოწეით ყურადღება მოაკლდა სამოდლო რიგის ფლაგმან "გოლფს", რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთობ შეავინროვა ფრანგული "პეჟო/სიტროენის" კონკურენტმა მოდელებმა.

ავტომობილებზე კონცერნისთვის მთავარ - ევროპის, აშშ-ისა და სამხრეთ ამერიკულ ბაზრებზე მოთხოვნის შემცირების გამო, "ფოლკსვაგენი" ვარაუდობს, რომ წლევენდელი წლის მოგება, შარშანდელთან შედარებით, თითქმის, განახევრდება.

